**Instru Safe**

**ინსტრუმენტებისათვის  და ენდოსკოპებისათვის განკუთვნილი სადეზინფექციო საშუალება**

Zoma Instru Safe წარმოადგენს მაღალეფექტურ, ფართო სპექტრის მოქმედების საშუალებას, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მოწყობილობების, ქირურგიული ინსტრუმენტების და ენდოსკოპების გაწმენდისა და დეზინფექციისათვის. უზრუნველყოფს სხვადასხვა ზედაპირებზე მიკროორგანიზმების ეფექტურ განადგურებას.

**შემადგენლობა**: 100 გრ  Instru Safe შეიცავს ალკილდიმეთილბენზილამონიუმის ქლორიდი 20 გრ, (CAS No.: 8001-54-5), დიდეცილ დიმეთილ ამონიუმის ქლორიდი  8 გრ( CAS No.: 7173-51-5), ლაურილამინი დიპროპილენდიამინი 10 გრ (CAS No.:    2372-82-9), ცხიმოვანი ალკოჰოლის ალკოქსილატი 2,5 გრ( CAS no.: 111905-53-4), ალკოჰოლები, C13-15, განშტოებული და ხაზოვანი, ეთოქსილირებული-2,5 გრ( CAS No.: 157627-86-6), იზოპროპანოლი -10 გრ (CAS No.: 67-63-0), დეიონიზებული წყალი CAS No.: 7732-18-5

**ფიზიკურ-ქიმიური თვისებები**

- გამჭვირვალე, უფერო ან ღია მოყვითალო სითხე
- სიმკვრივე: $20^0$ C- ზე 0.95 გ/მლ
- pH: 11.5

**გამოყენების სფერო**

Instru Safe   განკუთვნილია  სამედიცინო აპარატურის,  ქირურგიული და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების , საანესთეზიო  მოწყობილობების , კუვეზების, ენდოსკოპების  წმენდისა და დეზინფექციისთვის.

**მოქმედების სპექტრი :**

Instru Safe ხასიათდება ძლიერი ანტიმიკრობული  თვისებებით. ეფექტურად ანადგურებს ბაქტერიებს (მათ შორის მულტირეზისტენტულ ფორმებს), სოკოებს  , გარსიანი და უგარსო ვირუსებს ( HIV , Bჰეპატიტის ვირუსი, C ჰეპატიტის ვირუსის ჩათვლით ), მიკობაქტერიებს.

**გამოყენება**

| მოქმედება | კონცენტრაცია | ექსპოზიციის დრო |
|---|---|---|
| | 1% | 20 წთ |
| ბაქტერიციდული და საფუარის სოკოების საწინააღმდეგო | 2% | 15 წთ |
| | 0.75% | 30 წთ |

| მოქმედება | კონცენტრაცია | ექსპოზიციის დრო |
|---|---|---|
| ფუნგიციდური | 2% | 15 წთ |
| მიკობაქტერიციდული | 2% | 15 წთ |
| სპოროციდული | 2% | 15 წთ |
| Clostridium difficile წინააღმდეგ | 2%<br>1% | 15 წთ<br>30წთ |
| ინკაფსულირებული ვირუსები (HIV/HBV/HCV) | 2%<br>1% | 15 წთ<br>30 წთ |
| ულტრაბგერით აბაზანაში ბაქტერიები, სოკოები (HBV/HIV | 2% | 5 წთ |

**გამოყენების წესი**

სამუშაო ხსნარის მოსამზადებლად ხდება კონცენტრანტის განზავება ონკანის წყალში. საჭირო კონცენტრაციის ხსნარის მოსამზადებლად გამოიყენება დოზირების ცხრილი.

მაგ. 1 % ხსნარის 1 ლიტრი 990 მლ წყლის და 10 მლ კონცენტრანტის ექვივალენტურია.

სამუშაო ხსნარის ვარგისიანობის ვადა არის მისი მომზადებიდან 72 სთ. აღნიშნული ვადის განმავლობაში ხსნარის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, თუ მისი გარეგნული სახე არ შეცვლილა.

გარეგნული სახის ცვლილების (ფერის ცვლილება, ხსნარის შეღვრევა და სხვა) პირველივე ნიშნებისას საჭიროა ხსნარის შეცვლა.

ხსნარი გამოიყენება მხოლოდ დაბინძურებისგან გასუფთავებულ ზედაპირებზე ქირურგიული ინსტრუმენტები და ენდოსკოპები ხსნარში იყურსება კონცენტაციის შესაბამისი ექსპოზიციის დროით.

ნუ გადააჭარბებთ რეკომენდირებულ სამუშაო კონცენტრაციასა და ზემოქმედების დროს. ექსპოზიციის დროის გასვლის შემდეგ , გაავლეთ გამდინარე წყლით.

**უსაფრთხოების ზომები**

- მოარიდეთ თვალებთან და კანთან შეხებას
- გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალეები
- არ დაუშვათ პროდუქტის მოხვედრა საკვებში
- ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას შეინახეთ
- არ შეისუნთქოთ ორთქლი

**შენახვის პირობები**

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ ორიგინალურ ტარაში, გრილ, მზისგან დაცულ ადგილას.

**შეფუთვა და ვადები**

- შეფუთვის ზომები: 1ლ , 5ლ
- შეინახეთ მჭიდროდ დახურულ ტარაში 5-25°C
- დაიცავით მზის პირდაპირი სხივებისგან.
- ვარგისიანობის ვადა: 3 წელი

---

**საკონტაქტო ინფორმაცია**

მწარმოებელი შპს ზომა ჯორჯია
მისამართი: თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი 68ა
ტელ: +995 (595) 608 778
ვებ-გვერდი: www.zoma.ge
ელ-ფოსტა: info@zoma.ge